საქართველოს კანონი
ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ

თავი I
ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კანონის მიზანი

ეს კანონი ადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელების მიზნებსა და წესებს, განსაზღვრავს ზედამხედველობის განხორციელებაზე უფლებამოსილ ორგანოებსა და თანამდებობის პირებს, მათ უფლება-მოვალეობებს ზედამხედველობის სფეროში, ზედამხედველობის განხორციელების პროცესში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სამართლებრივ გარანტიებს.

მუხლი 2. სახელმწიფო ზედამხედველობის ცნება და სახეები

1. სახელმწიფო ზედამხედველობა (შემდგომში – ზედამხედველობა) არის ამ კანონით განსაზღვრული სახელმწიფო ორგანოების მიერ განხორციელებული საქმიანობა, რომლის მიზანია უზრუნველყოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და თანამდებობის პირების საქმიანობის კანონიერება და მიზანშეწონილობა. ზედამხედველობის სახეებია: სამართლებრივი ზედამხედველობა და დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელების ზედამხედველობა.
2. სამართლებრივი ზედამხედველობა არის ზედამხედველობის სახე, რომელიც ხორციელდება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და თანამდებობის პირების მიერ მიღებული (გამოცემული) ნორმატიული აქტების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.
3. დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელების ზედამხედველობა არის მიზანშეწონილობის მოტივით ზედამხედველობა, რომელიც უზრუნველყოფს თვითმმართველი ერთეულის მიერ მისთვის დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელებას სახელმწიფო ინტერესებისა და იმ მითითებების შესაბამისად, რომლებსაც დელეგირების განმახორციელებელი იძლევა.

მუხლი 3. ზედამხედველობის ორგანოები

1. ზედამხედველობას ამ კანონით განსაზღვრული ფორმითა და პირობებით, როგორც წესი, ახორციელებენ სახელმწიფო რწმუნებულები – გუბერნატორები.
2. განსაკუთრებულ შემთხვევაში ზედამხედველობის განხორციელება, საქართველოს მთავრობის დადგენილებით, შეიძლება დაეკისროს სხვა ორგანოს ან თანამდებობის პირს.
3. ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელიც განახორციელებს აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში არსებული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების და ქალაქ თბილისის თვითმმართველობის ორგანოების ზედამხედველობას, დადგენილებით განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა.

მუხლი 4. ზედამხედველობის მიზნები

ზედამხედველობის მიზნებია:

ა) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა კანონიერების პრინციპის შესაბამისად და საკუთარი უფლებამოსილებების ფარგლებში;

ბ) დელეგირებული უფლებამოსილებების სფეროში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა სახელმწიფო ინტერესების, მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად;

გ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების საჯარო ინტერესების შესაბამისად ადმინისტრირების უზრუნველყოფა.

მუხლი 5. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების
უფლებათა დაცვა ზედამხედველობის განხორციელებისას

1. ზედამხედველობა უნდა ხორციელდებოდეს თვითმმართველი ერთეულის ინტერესების გათვალისწინებით და კანონით დადგენილი პროცედურების შესაბამისად.
2. ზედამხედველობის ზომები უნდა შეესაბამებოდეს იმ ინტერესების მნიშვნელობას, რომელთა დაცვასაც ისინი ისახავენ მიზნად.
3. ზედამხედველობის არამართლზომიერი ზომის გამოყენების შედეგად ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსათვის მიყენებული ზიანი ანაზღაურდება კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 6. საქართველოს კანონმდებლობა ზედამხედველობის
სფეროში

ზედამხედველობა ხორციელდება საქართველოს კონსტიტუციის, ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, ამ კანონისა და საქართველოს სხვა კანონების შესაბამისად.

თავი II
ზედამხედველობის განხორციელება

მუხლი 7. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების
სამართლებრივი კონსულტაცია

1. თვითმმართველი ერთეულის ნორმატიული აქტის მიღებასთან დაკავშირებით, საკრებულოს თავმჯდომარე (ქალაქ თბილისის შემთხვევაში – აგრეთვე ქალაქის მერი) უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით მიმართოს შესაბამის ზედამხედველობის ორგანოს სამართლებრივი კონსულტაციის თაობაზე წერილობითი მოთხოვნით.
2. სამართლებრივი კონსულტაციის თაობაზე წერილობით მიმართვას უნდა ერთოდეს მისაღები (გამოსაცემი) ნორმატიული აქტის პროექტი და პროექტის განმარტებითი ბარათი.
3. შესაბამისი ზედამხედველობის ორგანო ვალდებულია წერილობითი მიმართვის მიღებიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში მოამზადოს და შესაბამის თანამდებობის პირს გაუგზავნოს სამართლებრივი დასკვნა მისაღები (გამოსაცემი) ნორმატიული აქტის პროექტის კანონიერების თაობაზე. ნორმატიული აქტის პროექტში სამართლებრივი ხარვეზების აღმოჩენის შემთხვევაში დასკვნა უნდა შეიცავდეს საკანონმდებლო ან სხვა ნორმატიული აქტის დასახელებას, რომელსაც ეწინააღმდეგება პროექტი, და რეკომენდაციებს სამართლებრივი ხარვეზების აღმოფხვრის შესახებ.
4. შესაბამისი ზედამხედველობის ორგანოს სამართლებრივი დასკვნა მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათისაა. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და თანამდებობის პირები სამართლებრივ აქტებს იღებენ (გამოსცემენ) დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით.

მუხლი 8. სამართლებრივი ზედამხედველობის განხორციელების წესი

1. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სამართლებრივ ზედამხედველობას ახორციელებს შესაბამისი ზედამხედველობის ორგანო.

2. ზედამხედველობის ორგანო სამართლებრივ ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დასკვნის გათვალისწინებით, ხოლო „ნორმატიული აქტების შესახებ“

საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით გათვალისწინებული ნორმატიული აქტების მიმართ – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დასკვნის გარეშე. ნორმატიული აქტის მიმღები (გამომცემი) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო (თანამდებობის პირი) „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით გათვალისწინებული ნორმატიული აქტების მიღებიდან (გამოცემიდან) არა უგვიანეს მე-2 სამუშაო დღისა ზედამხედველობის ორგანოს აცნობებს ამ ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ მიღებული (გამოცემული) ნორმატიული აქტებისა და მათი „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ გამოსაქვეყნებლად გაგზავნის თაობაზე. *(19.04.2011. N4564 ამოქმედდეს 2011 წლის 16 მაისიდან)*

3. სამართლებრივ ზედამხედველობას ექვემდებარება საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებების სფეროებში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და თანამდებობის პირების მიერ მიღებული (გამოცემული) ნორმატიული აქტები. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და თანამდებობის პირების მიერ მიღებული (გამოცემული) ნორმატიული აქტების ექსპერტიზისა და გამოქვეყნების პროცედურები განისაზღვრება „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონით. *(2.07.2010. N3282 ამოქმედდეს 2010 წლის 15 ივლისიდან.)*

4. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ვალდებულია სამართლებრივი დასკვნა მისი გაცემისთანავე გადაუგზავნოს შესაბამის ზედამხედველობის ორგანოს. *(2.07.2010. N3282 ამოქმედდეს 2010 წლის 15 ივლისიდან.)*

5. თუ ზედამხედველობის ორგანო ნორმატიულ აქტს კანონსაწინააღმდეგოდ მიიჩნევს, იგი უფლებამოსილია ნორმატიული აქტის გამოქვეყნებიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში მიმართოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს (თანამდებობის პირს) ამ ნორმატიულ აქტში ცვლილების შეტანის ან მისი გაუქმების შესახებ მოტივირებული წერილობითი მოთხოვნით. ზედამხედველობის ორგანომ წერილობით მოთხოვნაში უნდა მიუთითოს ის ნორმები, რომლებსაც ეწინააღმდეგება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ მიღებული (გამოცემული) ნორმატიული აქტი. *(2.07.2010. N3282 ამოქმედდეს 2010 წლის 15 ივლისიდან.)*

6. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო (თანამდებობის პირი) ვალდებულია მოთხოვნის მიღებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში გაუგზავნოს ზედამხედველობის ორგანოს ნორმატიულ აქტში ცვლილების შეტანის ან მისი გაუქმების შესახებ მიღებული (გამოცემული) ნორმატიული აქტი ან მოტივირებული წერილობითი უარი. ზედამხედველობის ორგანოს უფლება აქვს, აღნიშნული ვადის გასვლიდან არა უგვიანეს 10 კალენდარული დღისა მიმართოს სასამართლოს ნორმატიული აქტის შეჩერების, ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების მოთხოვნით.

7. თუ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და თანამდებობის პირების ნორმატიული აქტით ზიანი ადგება სახელმწიფო უსაფრთხოებას, კულტურული მემკვიდრეობის დაცვას, გარემოს, ადამიანის ჯანმრთელობას, სახელმწიფო ორგანოების, აგრეთვე ორგანიზაციებისა და დაწესებულებების გამართულ ფუნქციონირებას, მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელებას, ან ეს გადაწყვეტილება იწვევს გამოუსწორებელ, მძიმე ზიანს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის განმახორციელებელ შესაბამის ორგანოს უფლება აქვს, შესაბამის თვითმმართველი ერთეულის თანამდებობის პირებთან კონსულტაციისა და მათი გაფრთხილების შემდეგ, კანონით დადგენილი წესით, უზრუნველყოს ზიანის აღკვეთისათვის ან/და თავიდან აცილებისათვის სათანადო ღონისძიებების განხორციელება. ზიანის აღკვეთისათვის ან/და თავიდან აცილებისათვის სათანადო ღონისძიებების თაობაზე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. *(28.12.2009 N 2516)*

8. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს (თანამდებობის პირს) უფლება აქვს, ნორმატიული აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილება 1 თვის განმავლობაში გაასაჩივროს ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში.

მუხლი 9. დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელების ზედამხედველობის განხორციელების წესები

1. თვითმმართველი ერთეულის დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელების ზედამხედველობას ახორციელებს შესაბამისი ზედამხედველობის ორგანო.

2. ზედამხედველობის ორგანო დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელების ზედამხედველობას ახორციელებს შესაბამის სფეროში სახელმწიფო მმართველობის უზრუნველმყოფ სამთავრობო დაწესებულებასთან (დაწესებულებებთან) კონსულტაციის გათვალისწინებით.

3. დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელების ზედამხედველობას ექვემდებარება დელეგირებული უფლებამოსილებების სფეროში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების (თანამდებობის პირების) მიერ მიღებული (გამოცემული) ნორმატიული აქტები.

4.ზედამხედველობის ორგანო დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელების ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დასკვნის გათვალისწინებით, ხოლო „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით გათვალისწინებული ნორმატიული აქტების მიმართ – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დასკვნის გარეშე. ნორმატიული აქტის მიმღები (გამომცემი) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო (თანამდებობის პირი) „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით გათვალისწინებული ნორმატიული აქტების მიღებიდან (გამოცემიდან) არა უგვიანეს მე-2 სამუშაო დღისა ზედამხედველობის ორგანოს აცნობებს ამ ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ მიღებული (გამოცემული) ნორმატიული აქტებისა და მათი „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ გამოსაქვეყნებლად გაგზავნის თაობაზე. *(19.04.2011. N4564 ამოქმედდეს 2011 წლის 16 მაისიდან)*

5. ზედამხედველობის ორგანო უფლებამოსილია ნორმატიული აქტის გამოქვეყნებიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში მოსთხოვოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს (თანამდებობის პირს), ცვლილება შეიტანოს ნორმატიულ აქტში ან გააუქმოს იგი, თუ ზედამხედველობის ორგანო ამ ნორმატიული აქტის არსებული სახით მიღებას მიზანშეუწონლად მიიჩნევს. *(2.07.2010. N3282 ამოქმედდეს 2010 წლის 15 ივლისიდან.)*

6. თუ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო (თანამდებობის პირი) მიღებიდან 10 დღის განმავლობაში არ შეასრულებს ზედამხედველობის ორგანოს მოთხოვნას, ზედამხედველობის ორგანოს უფლება აქვს აღნიშნული ვადის გასვლიდან 5 კალენდარული დღის განმავლობაში მიმართოს საქართველოს მთავრობას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ მიღებული (გამოცემული) შესაბამისი ნორმატიული აქტის ან აქტის ნაწილის გაუქმების შესახებ წინადადებით. საქართველოს მთავრობა ზედამხედველობის ორგანოს წინადადებას იხილავს და შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს წინადადების მიღებიდან 1 თვის ვადაში. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ საქართველოს მთავრობის მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ მიღებული (გამოცემული) შესაბამისი ნორმატიული აქტის ან აქტის ნაწილის გაუქმება დაუშვებელია.

7. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს (თანამდებობის პირს) უფლება აქვს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლოში გაასაჩივროს საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ მიღებული (გამოცემული) ნორმატიული აქტის ან აქტის ნაწილის გაუქმების შესახებ, თუ იგი ამ გადაწყვეტილებას კანონსაწინააღმდეგოდ მიიჩნევს.

8. დელეგირებული უფლებამოსილებების სფეროში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ განხორციელებული საქმიანობის მიზანშეწონილობის განხილვის მიზნით, ზედამხედველობის ორგანოს შეუძლია მოსთხოვოს შესაბამის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს (თანამდებობის პირს), მოთხოვნიდან 5 კალენდარული დღის

განმავლობაში გაუგზავნოს მას ნებისმიერი ოფიციალური დოკუმენტი, მათ შორის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს (თანამდებობის პირის) სამართლებრივი აქტები, შეხვედრებისა და სხდომების ოქმები, ადმინისტრაციული საქმისწარმოების მასალები, საფინანსო დოკუმენტაცია და ა.შ..

9. ზედამხედველობის ორგანო უფლებამოსილია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებსა და თანამდებობის პირებს მოსთხოვოს მათ მიერ მიღებული (გამოცემული) იმ ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების გაგზავნა, რომლებიც უკავშირდება დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისას მატერიალური და ფინანსური რესურსების გამოყენებას. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო (თანამდებობის პირი) ვალდებულია მოთხოვნის მიღებიდან 5 კალენდარული დღის ვადაში ზედამხედველობის განმახორციელებელ თანამდებობის პირს გაუგზავნოს მის მიერ გამოთხოვილი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი. ზედამხედველობის განმახორციელებელი თანამდებობის პირი უფლებამოსილია მიღებიდან 5 კალენდარული დღის ვადაში მიზანშეუწონლობის მოტივით გააუქმოს ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი. ზედამხედველობის განმახორციელებელი თანამდებობის პირის გადაწყვეტილება მიზანშეუწონლობის მოტივით ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის გაუქმების შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9^1. თუ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და თანამდებობის პირების მიერ დელეგირებული უფლებამოსილების სფეროში გამოცემული ნორმატიული აქტით ზიანი ადგება სახელმწიფო უსაფრთხოებას, კულტურული მემკვიდრეობის დაცვას, გარემოს, ადამიანის ჯანმრთელობას, სახელმწიფო ორგანოების, აგრეთვე ორგანიზაციებისა და დაწესებულებების გამართულ ფუნქციონირებას, მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელებას, ან იგი იწვევს გამოუსწორებელ, მძიმე ზიანს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის განმახორციელებელ შესაბამის ორგანოს უფლება აქვს, შესაბამის თვითმმართველი ერთეულის თანამდებობის პირებთან კონსულტაციისა და მათი გაფრთხილების შემდეგ, კანონით დადგენილი წესით, უზრუნველყოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და თანამდებობის პირების ნორმატიული აქტის შეჩერებისათვის ან/და გაუქმებისათვის სათანადო ღონისძიებების განხორციელება. ზიანის აღკვეთისათვის ან/და თავიდან აცილებისათვის სათანადო ღონისძიებების თაობაზე გადაწყვეტილებები შეიძლება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გასაჩივრდეს სასამართლოში. *(28.12.2009 N 2516)*

10. თუ ზედამხედველობის ორგანო მიიჩნევს, რომ დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოყოფილი სახსრები არამიზნობრივად იხარჯება, იგი უფლებამოსილია არა უმეტეს წელიწადში ერთხელ მოითხოვოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ აუდიტის ჩატარება.*(22.06.2012 N 6550 ამოქმედდეს 2012 წლის 1 ივლისიდან)*

მუხლი 10. დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელების უზრუნველყოფა ზედამხედველობის ორგანოს მიერ

1. თუ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო (თანამდებობის პირი) დელეგირებული უფლებამოსილებების სფეროში არ მიიღებს სამართლებრივ აქტს, რომლის მიღებაც მას კანონით ევალება, ზედამხედველობის ორგანო ვალდებულია მოსთხოვოს მას აღნიშნული ვალდებულების შესრულება. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო (თანამდებობის პირი) ვალდებულია მიღებიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში შეასრულოს ზედამხედველობის ორგანოს მოთხოვნა.

2. თუ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო (თანამდებობის პირი) დადგენილ ვადაში არ შეასრულებს ზედამხედველობის ორგანოს მოთხოვნას, ზედამხედველობის ორგანო 3 დღის ვადაში მიმართავს საქართველოს მთავრობას შესაბამისი ნორმატიული აქტის მიღების (გამოცემის) თხოვნით.

მუხლი 11. ზედამხედველობის ორგანოების (თანამდებობის პირების) საქმიანობის საჯაროობა

1. ზედამხედველობის ორგანო ვალდებულია ყოველი წლის 1 თებერვლამდე შეადგინოს და გამოაქვეყნოს ზედამხედველობის სფეროში კალენდარული წლის განმავლობაში მის მიერ განხორციელებული საქმიანობის ოფიციალური ანგარიში.

2. ოფიციალური ანგარიში უნდა შეიცავდეს სტატისტიკურ ინფორმაციას ზედამხედველობის ორგანოსთვის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების (თანამდებობის პირების) მიერ გაგზავნილი ნორმატიული აქტების (აგრეთვე კონსულტაციისათვის გაგზავნილი ნორმატიული აქტების პროექტების) შესახებ, ზედამხედველობის პროცესში გასაჩივრებული, გაუქმებული და მიღებული (გამოცემული) სამართლებრივი აქტების სრულ ჩამონათვალს, აგრეთვე ინფორმაციას ზედამხედველობის ორგანოს საჩივრებზე სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების თაობაზე.

3. ზედამხედველობის ორგანო ვალდებულია ოფიციალური ანგარიშის შედგენიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში გაუგზავნოს იგი საქართველოს პრეზიდენტსა და საქართველოს პარლამენტს.

თავი III
დასკვნითი დებულება

მუხლი 12. კანონის ამოქმედება

ეს კანონი ამოქმედდეს 2007 წლის 1 აგვისტოდან.

საქართველოს პრეზიდენტი *მიხეილ სააკაშვილი*

თბილისი,
2007 წლის 8 ივნისი.
N 4910 – Iს